## ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ვანი 31 მარტი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 მარტს გამოცხადებული (განცხადება უ/ნ 1567) კონკურსის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე : ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ბესარიონ ახვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

საკონკურსო აპარატის წევრები:

1. მარინა ღვინიანიძე
2. ვანდა გიორგაძე

## *ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის*

## ოქმი №2

ქ. ვანი 31. მარტ. 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვარლამ შარაშენიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

მამუკა ნამიჭეიშვილი- გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, წევრი.

გიორგი ნამიჭეიშვილი - საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.

ბესარიონ ახვლედიანი - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, წევრი.

დავით გაბუნია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ვანდა გიორგაძე- საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, აპარატის წევრი.

მარინა ღვინიანიძე - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით შესყიდვის ობიექტის N1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობაზე*

შესასრულებელ სამუშაოებზე საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (ს/ნ 1567 24.03.2015წ) შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის დავით გაბუნიას ინფორმაცია, რომელმაც კომისიას აცნობა, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2015 წლის 27 მარტი 15:00სთ.) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა.

1. შპს „LIVE DESIGN"
2. ინდ. მეწარმე „შოთა ფუტკარაძე"

განიხილეს:

1. ინდ. მეწარმე „შოთა ფუტკარაძი"–ს საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეიცავს შემსყიდველი ორგანიიზაციის დასახელებას და საიდენტიფიკაციო კოდს.
2. შპს „LIVE DESIGN"-ის მიერ წარმოდგენილი ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაციიდან ირკვევა, რომ კონკურსანტს არ აქვს წარმოდგენილი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ანალოგიურ სამუშაოზე.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის დავით გაბუნიას ინფორმაცია, რომელმაც კომისიას აცნობა, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2015 წლის 27 მარტი 15:00სთ.) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა.

1. შპს ,,LIVE DESIGN"
2. ინდ. მეწარმე ,,შოთა ფუტკარაძე"

განიხილეს:

1. ინდ. მეწარმე ,,შოთა ფუტკარაძი"–ს საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეიცავს შემსყიდველი ორგანიიზაციის დასახელებას და საიდენტიფიკაციო კოდს.
2. შპს ,,LIVE DESIGN''-ის მიერ წარმოდგენილი ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაციიდან ირკვევა, რომ კონკურსანტს არ აქვს შესრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ანალოგიურ სამუშაოზე, რის გამოც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობების და წესის" მე–4 მუხლის მე–8 პუნქტის შესაბამისად მოხდა ინდ. მეწარმე ,, შოთა ფუტკარაძე'–ს და შპს ,,LIVE DESIGN''–ის დისკვალიფიკაცია

დაადგინეს:

1) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებას, რის გამოც კონკურსი (უ/ნ 1567 24.03.2015წელი) დამთავრებულია უარყოფითი შედეგით
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს დამთავრებულია უარყოფითი შედეგით.

კომისიის თავმჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ბესარიონ აბვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრები:

1. ვანდა გიორგაძე
2. მარინა ღვინიანიძე